საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 5

ქ. თბილისი

12.07.2016

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM)მთავარი მკვლევარი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
ირმა შიოშვილი - რექტორი;
შალვა ჭკადუა - ხარისხის სამსახურის უფროსი;
მარინა კვაჭაძე - სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:

არჩილ ჯანგირაშვილი - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
ჯონი მწარიაშვილი - ავტორიზაციის განყოფილების უფროსი;
კახაბერ თავზარაშვილი - პროფესორი;
ქეთევან კუთხაშვილი - ასოცირებული პროფესორი;
თინათინ ღუდუშაური - პროფესორი;
თინა თურძილაძე - ფარმაციის მაგისტრი;
მაია ჩხეიძე - პროფესორი;
ნათია სხვიტარიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
ელზა ნიკოლაიშვილი - პროფესორი.

6.16

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნინო ჩიქოვანი;
მარინე მაისურაძე;
ნანა იაშვილი;
რომეო გალდავა;
ომარ ფურთუხია;
თამარ გაიხარაშვილი;
დავით ბოსტოღანაშვილი;
ზვიად როგავა;
ირმა გრძელიძე;
ეკატერინე ბაკარაძე;
ნატო ალავიძე;
ირინე ფხაკაძე;
ეკა ეკალაძე;
გოჩა თუთბერიძე.

საბჭოს სხდომა 15:21 საათზე დაიწყო. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნათელა სახოკია.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი:

ნ.ს.

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს სამართლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქიტექტურისა და დიზაინის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის გამოყენებითი მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ყოფილა, შესაბამისად საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგის პროექტი.

6. 66

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: განათლების ადმინისტრირება
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ჩიქოვანმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტები შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს.

ექსპერტმა წარმოადგინა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

მან აღნიშნა, რომ სასურველი იყო, საპროფესოროსა და ელექტრონული სისტემის - ჩემი UG-ის გარდა, საკონსულტაციო საათები მითითებულიყო სასწავლო კურსების სილაბუსებშიც. გარდა ამისა, პროგრამასა და სილაბუსებში დეტალურად აღწერილიყო სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები.

ასევე, უმჯობესი იქნებოდა, პროგრამის სპეფიციკიდან გამომდინარე, პრექტიკის კომპონენტი გამხდარიყო სავალდებულო, შემუშავებულიყო სპეციალობაში მისაღები გამოცდების საკითხები.

ექსპერტების აზრით, სასურველი იყო, სასწავლო კურსებს „კურიკულუმის განვითარება", „განათლების სამართლებრივი ასპექტები", „ადამიანური რესურსების მართვა განათლებაში" და „ხარისხის უზრუნველყოფა" თემატიკაში დამატებოდა მასწავლებლის განვითარების სქემის, ეროვნული სასწავლო გეგმის, კვალიფიკაციათა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, მობილობის, ავტორიზაცია და აკრედიტაციის საკითხები.

ექსპერტთა ჯგუფის ბოლო რეკომენდაციით, უკეთესი იქნებოდა, კურიკულუმის განვითარების კურსს დამატებოდა პრაქტიკული კომპონენტი, სადაც სტუდენტები დაწვრილებით ისწავლიდნენ პროგრამის შემუშავების პრონციპებს, სილაბუსის შედგენას, კრედიტების განაწილებას და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ ღუდუშაურმა, რომელიც წარმოადგენდა ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის დირექტორს, რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ საკონსულტაციო საათები უკვე მითითებული იყო სილაბუსებში, ასევე, მეთოდების ბმული გაკეთდა და პროგრამის ამუშავების შემდგომ

6.66

ნებისმიერ სტუდენტს ექნებოდა საშუალება, ენახა ეს მეთოდები, ბაზაშიც იყო განმარტებული მათი არსი.

პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ეს იყო არჩევითი კომპონენტი და ბევრი კამათის შედეგად, მაინც გადაწყდა, რომ დარჩენილიყო არჩევით კურსად, ვინაიდან ის იყო ინგლისურენოვანი. შესაბამისად, ამ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებდნენ.

მისაღებ გამოცდასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში აპირებდნენ ამ საკითხების შემუშავებას, თუმცა ამ ეტაპისთვის უკვე გათვალისწინებული იყო ეს რეკომენდაცია, ასევე კურსებში დაემატა განათლების სამართლებრივი ასპექტები, პრაქტიკული კომპონენტი, სადაც სტუდენტები ისწავლიდნენ სილაბუსის შედგენასა და კრედიტების განაწილებას, შესაბამისად ეს რეკომენდაციები გაზიარებულ და გათვალისწინებულ იქნა.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რა წარმოადგენდა ინგლისურენოვანი პროგრამის შექმნის საფუძველს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო პროგრამა ჰქონდათ ქართულენოვანი, წინაპირობას წარმოადგენდა ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება, თუმცა შეზღუდული არ იყო ქართულენოვანი სტუდენტების მიღება, ასევე დაინტერესებული იყვნენ პროგრამით სტუდენტები თურქეთიდან, ინდოეთიდან, ირანიდან და სხვა ქვეყნებიდან.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა სწავლის ღირებულებით, რაზეც უპასუხეს, რომ სწავლის საფასური შეადგენდა 3000 აშშ დოლარს.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ განათლების ადმინისტრირების მიმართულებით პროგრამების რაოდენობაც ცოტა იყო და მოთხოვნაც, მისთვის გაუგებარი იყო, თუ ვის ამზადებდა განათლების ადმინისტრირების პროგრამა კურსამთავრებულების სახით, სკოლის ადმინისტრატორს თუ უმაღლესის, რადგან სკოლის დირექტორს არ მოეთხოვებოდა მსგავსი კვალიფიკაცია. მან დაამატა, რომ კურიკულუმში არ ჩანდა ლოკალური კონტექსტი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ გათვლა არ ყოფილა ქართველ სტუდენტზე, საზღვარგარეთ კი არსებობდა მსგავსი მოთხოვნა. მან განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებისას შესწავლილი იყო ბაზარი, თუ რაზე იყო მოთხოვნა, და აქცენტი გააკეთეს სკოლის და უნივერსიტეტის მმართველებზე, რაც მოიცავდა მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი მმართველებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ შედარებითი პოლიტიკა და განათლების ფილოსოფია წარმოადგენდნენ არჩევით საგნებს, მისი აზრით, სკოლის დირექტორს უნდა სავალდებულოდ გაევლო შედარებითი პოლიტიკის კურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არჩევითი საგნები საკმაო ინფორმაციას აძლევდა სტუდენტებს, პროგრამა გულისხმობდა მენეჯერის მომზადებას და შეიძლებოდა წარმოდგენილიყო ადმინისტრატორის სახით და არა რექტორის მაგალითად.

საბჭოს წევრმა, რევაზ სოლომონიამ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, რა კავშირი ჰქონდა პროგრამასთან კურსამთავრებულების საზღვარგარეთ ყოფნას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამის თანახელმძღვანელებს წარმოადგენდნენ ახლანდელი დოქტორანტები, რომლებიც იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ, რის გამოც, ვერ მოხერხდა სკაიპით დაკავშირება ვიზიტის პერიოდში. საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით, მან დაამატა, რომ მითითებული იყო დაფაზეც და სილაბუსებშიც ასახეს.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, თუ რა ინტერესი ჰქონდათ უცხოელ სტუდენტებს პროგრამის

5. 106

აკრედიტაციასთან დაკავშირებით, ანუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის პროგრამა მიიღებდა თუ არა აკრედიტაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უცხოელი სტუდენტები საელჩოების დახმარებითაც მუდმივად კითხულობდნენ აკრედიტებული იყო თუ არა პროგრამა.

ნათელა სახოკია დაინტერესდა, რამდენ სტუდენტს ელოდებოდნენ აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაახლოებით 30 სტუდენტის მიღებას გეგავდნენ და მათი მოსაზრებით, მათ შორის, ქართველები იქნებოდნენ წარმოდგენილი მცირერიცხოვნად.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, ვის მოამზადებდა პროგრამა.

არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მორგებული იყო ლოკალურ სივრცეზე და პროგრამის მიზანი გულისხმობდა განათლების პოლიტიკის დაგეგმვას.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამით ქართული კანონმდებლობა ისწავლებოდა, მისთვის ბუნდოვანი იყო კადრი ადგილობრივი ბაზრისთვის მზადდებოდა თუ საერთაშორისო არეალისთვის. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა დაბრკოლებებს აწყდებოდნენ სკოლის დირექტორის მომზადებისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით იყო აგებული და ის საგნები რაც ისწავლებოდა, გადიოდა დასახულ შედეგზე - მოემზადებინა სკოლის დირექტორები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯერები, ისწავლებოდა ფინანსები, ბიუჯეტირება და სხვა საგნები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ, ცენტრთან დააყენა შუამდგომლობა, შპს საქართველოს უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა 1 წლის განმავლობაში კიდევ ერთხელ გადამოწმებულიყო მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში.

ნ. ნ

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს სამართლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ბიზნეს სამართალი
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ზვიად როგავამ წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს არ ჰქონდა თანხმობა სამინისტროსგან ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელების შესახებ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ მიმართეს სამინისტროს დოკუმენტის განახლების თაობაზე და სხდომის დასრულებამდე მოიტანდნენ აღნიშნულ ნებართვას.

ზვიად როგავამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

სასურველი იყო, საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი კურსების სახით დამატებოდა ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა „საერთაშორისო ინტელექტუალური საკუთრების სამართალი", „საერთაშიროსი ფასიანი ქაღალდების რეგულირება", „საერთაშორისო ელექტრონული ვაჭრობის სამართალი".

მიზნებიდან, სწავლის შედეგებიდან და თემატიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსს „საერთაშორისო საგადასახადო სამართალს" სასურველია შეცვლოდა სახელწოდება და დარქმეოდა „აშშ-ს საგადასახადო სამართალი". ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსის სახით დამატებოდა „საერთაშორისო საგადასახადო სამართალი" ისეთი საკითხების სწავლებით, როგორიცაა საერთაშორისო საგადასახადო სამართლის ცნება, საგანი, სისტემა, წყაროები, ორმაგი დაბერვრის წარმოშობის მიზეზები და მათი თავიდან აცილების საშუალებები, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები საერთაშორისო რეგულირება, საგადასახო დაგეგმარება და საერთაშორისო საგადასახადო სამართალი, სამართალდაცვით საქმიანობა და საერთაშორისო საგადასახადო სამართალი.
ექსპერტების ბოლო რეკომენდაციას წარმოადგენდა ის, რომ პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სასწავლო კურსი „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი" გადატანილიყო სავალდებულო სასწავლო კურსებში და განსაზღვრულიყო კურსის „სამართლებრივი კვლევია და წერა III: იმიტირებული სასამართლოს" წინაპირობად.

5. 108

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამისთვის შექმნილი იყო საკონსულტაციო საბჭო, სადაც ასევე შედიოდნენ იურიდიული კომპანიები, ვისაც საერთაშორისო კლიენტურა ჰყავდათ, რათა გამოეკვლიათ მოთხოვნა ბაზარზე. ასევე, შეადარეს ევროპაში მოქმედ მსგავს პროგრამებს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, გეგმავდნენ არჩევითი კურსების გაზრდას პროგრამის ამოქმედებისთანავე, მას შემდეგ, რაც მოთხოვნები გამოჩნდებოდა სტუდენტების მხრიდან. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ტარდებოდა კვლევები, სადაც აანალიზებდნენ რომელი საგნები იყო უფრო მნიშვნელოვანი, როგორც სტუდენტისთვის, ასევე დამსაქმებლებისთვის.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აღნიშნეს, რომ შეცვალეს სახელწოდება და კურსს დაერქვა „ამერიკის საგადასახადო სამართალი".

შემდგომ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა გადაწყვიტა არ შეეტანა ცვლილებები და საგანი დარჩენილიყო არჩევით ბლოკში. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იმიტირებული სასამართლო პროცესი არ გულისხმობდა მხოლოდ კომერციული არბიტრაჟის გავლას, ეს იყო შეჯიბრი, სადაც სტუდენტი დაეუფლებოდა უნარ-ჩვევებს.

ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში მიესალმებოდა ინგლისურენოვან პროგრამას, წინა საკითხისგან განსხვავებით, და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენ სტუდენტს ელოდებოდნენ აღნიშნულ პროგრამაზე.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტი გათვლილი იყო 25 სტუდენტზე, უკვე ჰქონდათ 15 ქართველი სტუდენტის განაცხადები, ვისაც სურდა მობილობით გადასვლა. მან დაამატა, რომ უცხოელი სტუდენტისთვის გადასახადი შეადგენდა 4000 აშშ დოლარს, ხოლო ქართველისთვის 2500-ს. ასევე ,გათვალისწინებული იყო 11 სტიპენდია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს სამართლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს სამართლის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6.48

3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქიტექტურისა და დიზაინის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: არქიტექტურა და დიზაინი
განათლების საფეხური: საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არქიტექტურის ბაკალავრი; დიზაინის ბაკალავრი.
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნანა იაშვილმა და მარინე მაისურაძემ წარადგინეს. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს შემუშავებული რეკომენდაციები:
სწავლის შედეგებში - ცოდნა/გაცნობიერება ბოლო ორი პუნქტის განმარტება სრულად არ შეესაბამებოდა პროგრამით წარმოდგენილი შესაბამისი სილაბუსების შინაარსს. ვიზიტის დროს, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შემდგომ, მოხდა ჩასწორება ამ პუნქტების და სილაბუსების შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანა.

საგნების - „ექსტერიერის დიზაინერული პროექტირება IV" და „ინტერიერის დიზაინერული პროექტირება IV" სილაბუსები შინაარსით ორიენტირებული იყო საწარმოო პრაქტიკაზე, რაც პროგრამაში არ იკითხებოდა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ხელმძღვანელმა ვიზიტზევე გაითვალისწინა შენიშვნა და მაშინვე შეიტანეს ცვლილება - სილაბუსების სათაურებს დაემატა ჩანაწერი - საწარმოო პრაქტიკა.

სილაბუსებში: კომპოზიცია I, კომპოზიცია II-ში გამოვლინდა არათანმიმდევრული ჩანაწერები სალექციო და პრაქტიკულ საკითხებთან მიმართებაში. ვიზიტიზე პერიოდშივე იყო შეტანილი შესაბამისი ცვლილებები.

დიზაინის სპეციალობის მოდული ითვალისწინებდა პუნქტებს: პროდუქტის მარკეტინგული თვალსაზრისით მომგებიანად წარმოჩენის უნარი ან/და საფირმო სტილისა და სასაქონლო ნიშნის შერჩევის უნარი. მოდულის სილაბუსებით დასტურდებოდა, რომ პრორგამაში კონცენტრაცია ორიენტირებულია ინტერიერის დიზაინერის უნარებზე. ამდენად, ვიზიტის დროს საგნის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, ზემო აღნიშნული პუნქტები ჩასწორდა შემდეგი რედაქციით: ინტერიერის და ექსტერიერის დიზაინის სრულყოფილად წარმოჩენის უნარი და ინტერიერის და ექსტერიერის დიზაინის შერჩევის უნარი.

არქიტექტურა და დიზაინი იმ დარგთა შორის მოიაზრება, რომლებიც უველაზე უფრო ცვლადი და პროგრესსზე ორიენტირებული მიმართულებებია, შესაბამისად, ექსპერტთა

6.106

რეკომენდაცია იყო პროგრამის მუდმივი მონიტორინგი და განახლება, როგორც პროფესიული (პროფესორ-მასწავლებლები) ასევე, კონცეპტუალური (პროგრამების შინაარსი) თვალსაზრისით.

ექსპერტმა, ნანა იაშვილმა აღნიშნა, რომ სპეციალობას სჭირდებოდა ორი დარგის კომბინირება, მისი თქმით, კარგი არქიტექტორი კარგი კონსტრუქტორსაც წარმოადგენდა. დიზაინი გულისხმობდა ინდივიდუალურ მუშაობას ხოლო არქიტექტურა ჯგუფურს.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პროფესურის თანაფარდობით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ შორის გადანაწილება იყო 50/50. კადრები მოწვეულები იყვნენ სხვადასხვა დაწესებულებიდან, მათ შორის აკადემიიდან და ტექნიკური უნივერსიტეტიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქიტექტურისა და დიზაინის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის არქიტექტურისა და დიზაინის საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-lut

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის გამოყენებითი მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: გამოყენებითი მეცნიერებები
განათლების საფეხური: სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეცნიერებათა მაგისტრი (გამოყენებითი მათემატიკა) 050102; მეცნიერებათა მაგისტრი (გამოყენებითი ელექტროდინამიკა) 050207.
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა რომეო გალდავამ წარადგინა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

მან აღნიშნა, რომ სასურველი იყო, ნ. დავითაიას სილაბუსში „რისკების შეფასების მეთოდები ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის" მითითებულიყო ამ მიმართულებით არსებული და კარგად აპრობირებული ისეთი ქართულენოვანი ლიტერატურა, როგორიცაა: ლაზრიევა ნ., მანია მ. მირზაშვილი; გ. ტორონჯაძე თ. ღლონტი ო. ჯამბურია ლ. „დინანსური ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები, დონდი: ევრაზია, თბილისი 1999, რაც თავის მხრივ, საშუალებას იძლეოდა გამართულიყო ქართულენოვანი ტერმინოლოგია.

ქ. ომიაძის სილაბუსის სახელწოდება „პროგნოზირების მათემატიკური მეთოდები", სინამდვილეში კურსის მხოლოდ მცირე ნაწილს ესადაგებოდა, ექსპერტების რეკომენდაცია იყო, შეცვლილიყო კურსის მთლიანად მომცველი სახელწოდებით, მაგალითად უკეთესი იქნებოდა, დარქმეოდა „კვლევის ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები".

ელექტრონულ ბაზებს არ გააჩნდათ შესაძლებლობა რომ დისციპლინის წინაპირობის შესრულების შემოწმება მომხდარიყო ბაკალავრიატში გავლილი დისციპლინებიდანაც, ექსპერტების მოსაზრებით, ასეთი შესაძლებლობის არსებობის პირობებში, შესაძლებელი იქნებოდა ზოგიერთი არჩევითი დისციპლინის სავალდებულო კურსის წინაპირობად გამოცხადება, რასაც ამ ეტაპზე სტუდენტი აკეთებდა თვითონ, ან პროფესორის მითითებით (მაგალითად, „ფუნქციონალური ანალიზის რჩეული თავების წინაპირობაში უნდა ყოფილიყო მიითებული ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია");

და ბოლო რეკომენდაციის სახით, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ვინაიდან უნივერსიტეტში შეფასების სისტემა უნიფიცირებული იყო, სასურველი იქნებოდა

5.18

მაგისტრატურის დონეზე მაინც მომხდარიყო შეფასების სისტემის მოდიფიცირება სწავლების საფეხურისა და სასწავლო კურსების სპეფიციკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე წარმოადგენდნენ კახა თავზარაშვილი და ქეთევან კუთხაშვილი. მათ აღნიშნეს, რომ რამდენიმე რეკომენდაცია უკვე ასახული იყო პროგრამაში და დაამატეს, რომ უნივერსიტეტში სრულდებოდა პროექტები, მოპოვებული ჰქონდათ გრანტები ქიმიის მიმართულებით. მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ წინაპირობად ითხოვდნენ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურებას. სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით, განმარტეს, რომ სახელმძღვანელო, რომელზეც ექსპერტებმა რეკომენდაცია გაუწიეს, გრანტით იყო დაბეჭდილი, შესაბამისად არ იყო ხელმისაწვდომი. შემდგომში მიმართეს ამ ორგანიზაციას და საჩუქრად მიიღეს რამდენიმე ეგზემპლარი. მათი თქმით, საკითხები ამ დროისთვის უკვე შეტანილი იყო სილაბუსშიც.

სათაურებთან დაკავშირებული რეკომენდაციებიც გათვალისწინებულ იქნა. წინაპირობებთან დაკავშირებით, აღნიშნეს, რომ ჰქონდათ კურსი „უმაღლესი მათემატიკის რჩეული თავები" რომელსაც არჩევითად სთავაზობდნენ სტუდენტებს, ვინც სხვა სფეროდან მოვიდოდნენ აღნიშნულ პროგრამაზე.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სტუდენტს ჰქონდა საშუალება სულაც არ აერჩია აღნიშნული კურსი. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მისაღები გამოცდა ტარდებოდა სპეციალობაში, როგორც ფიზიკის, ასევე მათემატიკის მიმართულებით.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რა საგნები ჰქონდათ საერთო სტუდენტებს, რაზეც წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ არჩევითი საგნები იყო საერთო ამ ორი მოდულის სტუდენტებისთვის.

საბჭოს წევრებისთვის ბუნდოვანი იყო რატომ წარმოადგინა დაწესებულებამ ეს პროგრამები ერთი პროგრამის სახით და არა ცალ-ცალკე.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ელოდებოდნენ სტუდენტებს ფიზიკის, მათემატიკისა და ინფორმატიკის მიმართულებებიდან და ჯგუფს 5-10 სტუდენტის შემთხვევაშიც გახსნიდნენ.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლებს გარკვეულ საკითხებში, მისი აზრით, ზოგიერთი არჩევითი საგანი სავალდებულო უნდა ყოფილიყო, ასევე წინაპირობები გაბნეული იყო სემესტრში ისე, რომ შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ არ სჭირდებოდა მათემატიკურ საგნებს წინაპირობები. მისთვის გაუგებარი იყო, რატომ არ იყო სავალდებულო ფიზიკის ან მათემატიკის ურთიერთგადამკვეთი საგნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კახა თავზარაშვილმა უპასუხა, რომ ეს ორივე წარმოადგენდა მოსამზადებელ კურსს მათთვის, ვისაც არ ჰქონდა საბაზისო ცოდნა და გათვალისწინებული იყო პირველივე სემესტრში.

ექსპერტმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ ორი ცალ-ცალკე პროგრამა შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, თუმცა არც ამგვარი ფორმით იყო აკრძალული პროგრამის წარმოდგენა, მითუმეტეს, როდესაც ტექნიკური ბაზაც ჰქონდატ, ლაბორატორიებიც და საინტერესო მოდელებიც ნახა ექსპერტმა ჯგუფმა ვიზიტის დროს.

საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა რეკომენდაციით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, გამოესწორებინათ აღნიშნული შენიშვნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კახა თავზარაშვილმა ნანა შათაშვილს სთხოვა, დაეზუსტებინა კონკრეტულად რომელ საგნებს გულისხმობდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ გამოყენებითი მეცნიერებები რა დარგებს მოიცავდა, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ამაში იგულისხმებოდა მხოლოდ მათემატიკა და ფიზიკა.

ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ ორივე წარმოადგენდა ვიწრო მიმართულებებს როგორც ფიზიკისთვის, ასევე მათემატიკისთვის, ამიტომ არ იზიარებდა პროგრამის ერთი სახით წარმოდგენას და თვლიდა, რომ ცალცალკე უნდა ყოფილიყო შემოტანილი.

ნ.ნ

ნათელა სახოკიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რა წარმოადგენდა კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამეცნიერო პროექტებში ჩართვას გეგმავდნენ, უცხოეთთან ჰქონდათ კავშირები, შეეძლოთ ბანკში ემუშავათ კურსდამთავრებულებს.

ნათელა სახოკია დაინტერესდა, მაშინ რატომ ჰქონდათ თვითშეფასებაში მითითებული რომ დამსაქმებლების ინტერესი დაბალი იყო. ამაზე კახა თავზარაშვილმა მიუგო, რომ არ ჩაუტარებიათ ბაზრის კვლევა, რადგან პროგრამას სამეცნიერო კუთხით უყურებდნენ.

ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ არ ჩანდა რისი მაგისტრი იყო კურსდამთავრებული, ზოგადად მეცნიერებების კვალიფიკაცია შეიძლებოდა დამაბნეველი ყოფილიყო დამსაქმებლისთვისაც, მისი მოსაზრებით, კვალიფიკაციაც ცალცალკე უნდა მიენიჭებინათ - მათემატიკაში და ფიზიკაში, და მისთვის მხოლოდ ის არგუმენტი იყო გასაგები, თუ გააერთიანეს მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით, რათა ერთი პროგრამის აკრედიტაციის საფასური გადაეხადათ.

16:47 საათზე სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

სხდომა განახლდა 17:30 საათზე.

საბჭოს წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს რეკომენდაციით მიმართეს, ჩაეწერათ ორი კვალიფიკაცია - კონკრეტულად, კვალიფიკაცია მინიჭებოდა კურსდამთავრებულს მეცნიერების მაგისტრი ერთ ან მეორე დარგში.

დაწესებულების ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტა რომ თვითშეფასებაში სწორედ ასე იყო მითითებული კვალიფიკაციის სახელწოდება და შესაბამისი კოდიც ჰქონდა მინიჭებული. კახა თავზარაშვილმა დაამატა, რომ წინაპირობებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას ნაწილ კურსებში გაითვალისწინებდნენ, ნაწილს კი არ სჭირდებოდა პრერეკვიზიტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის გამოყენებითი მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის გამოყენებითი მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ, ცენტრთან დააყენა შუამდგომლობა, შპს საქართველოს უნივერსიტეტის გამოყენებითი მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა 1 წლის განმავლობაში გადამოწმებულიყო მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში.

ნ.ნ

5. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სამართლის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დავით ბოსტოღანაშვილმა წარადგინა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო შემუშავებული რეკომენდაციები:

სასურველი იყო, სამართლის სილაბუსის შინაარსში გათვალისწინებულიყო ისეთი თემები, როგორიცაა: იმპერიის ხანის რომის სახელმწიფო სამართალი; თხოვებისა და სესხის ხელშეკრულებები; კვაზი კონტრაქტები და კვაზი დელიქტები;

დაიხვეწილიყო ქართული სამართლის ისტორიის სილაბუსის შინაარსი. სილაბუსის შედეგებში ცოდნა გაცნობიერების ნაწილში მითითებული იყო, რომ სასწავლო კურსის გავლის შემდეგ, სტუდენტს ეცოდინებოდა ძველი ქართული სამოქალაქო სამართალი, თუმცა შინაარსში ეს თემა არ იყო მოცემული;მე-10 თემა ეთმობა სასჯელის მიზნებსა და სახეებს, თუმცა იქვე იყო მითითებული სუბიექტური მხარე, რაც არ შედიოდა აღნიშნულ საკითხში და სხვა თემას წარმოადგენდა;

სილაბუსში სისხლის სამართალი (დანაშაულის სხვა სახეები), ძირითად ლიტერატურაში მითითებული იყო მოძველებული ლიტერატურა, თუმცა დაწესებულების საბიბლიოთეკო ფონდში არსებობდა უახლესი ლიტერატურა ამ საკითხებზე. სასურველი იყო, სილაბუსის განახლება ლიტერატურის ნაწილში.

უფრო მეტად გამიჯნულიყო ერთმანეთისგან სწავლის შედეგები შემდეგ სილაბუსებში:

ა) უცხო (რუსული) ენა 1 და 2;
ბ) უცხო (რუსული) ენა 3 და 4;
გ) დარგობრივი უცხო (რუსული) ენა 5 და 6;
დ) უცხო (ინგლისური) ენა 1 და 2;
ე) უცხო (ინგლისური) ენა 3 და 4;
ვ) დარგობრივი ინგლისური ენა I და II;
ზ) გერმანული ენა 1 და 2;
თ) გერმანული ენა 3 და 4.

6.1ა

კურსის „სამართალმცოდნეობის შესავალი" მიზანში მითითებული იყო, რომ ამ კურსის მიზანს წარმოადგენდა „სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა სახელმწიფოსა და სამართლის ცნების... სახელმწოფოს ფორმების, ფუნქციების, მექანიზმების ... შესახებ". უშუალოდ თემატიკაში სახელმწიფოს ნიშნების, ფუნქციებისა და მექანიზმების შესახებ არ იყო რეალურად მოცემული შესაბამისი თემები და საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის სილაბუსის მეხუთე და მეშვიდე თემები ფარავდნენ ერთმანეთს. ორივე თემაზე მითითებული ლიტერატურა და გვერდები ერთი და იგივე, იყო, მცირეოდენი განსხვავებით, რაც კიდევ უფრო ამყარებდა თემატიკის ალოგიკური თანმიმდევრობის მიზნობრივ დაშვებულობას. კერძოდ: მეხუთე თემა, რომლის სათაური იყო „პოლიტიკური რეჟიმები და მმართველობის ფორმები", ჩაშლილი იყო შემდეგ საკითხებად: პოლიტიკური რეჟიმები; მმართველობის ფორმები: მონარქია; რესპუბლიკა- საპრეზიდენტო, საპარლამენტო და შერეული რესპუბლიკა; საქართველოს მმართველობის ფორმა- ისტორიული ანალიზი, 1995 წლის კონსტიტუცია, 2010 წლის კონსტიტუციური ცვლილებები.

მეშვიდე თემა, რომლის სახელწოდებაც იყო **„სახელმწიფოს ფორმა"** შედგებოდა შემდეგი საკითხებისაგან: მმართველობის ფორმა; სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა; პოლიტიკური რეჟიმი. თემებისა და საკითხების განმეორება და ქრონოლოგია აჩვენებდა, რომ მეხუთე თემაში მოცემული იყო კონკრეტული საკითხები საქართველოსთან მიმართებაში, ხოლო მეშვიდე თემაში ამავე თემების ცნებებზე და ზოგად მიმოხილვაზე იყო საუბარი. ამასთან, მეშვიდე თემის საკითხი „სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა", საკითხად -„საქართველოს ტერიტორიული მოწყობა" წინმსწრებად განიხილებოდა მეექვსე თავში. ექსპერტების მოსაზრებით, საკითხების გადაცემის ეს ქრონოლოგია ვერ იქნებოდა გამართლებული ზოგადისა და კერძოს ურთიერთმიმართებიდან და შესაბამისად კურსის შედეგზე გასვლის მიზნიდან გამომდინარე.

სასურველი იქნებოდა ასევე საჯარო მიმართულებით განსაკუთრებით კონსტიტუციური სამართლის სწავლების ეფექტურობის მიზნით აღმოფხვრილიყო შემდეგი ტიპის პრობლემა: ვინაიდან არც სამართლის შესავლის, არც კონსტიტუციური სამართლის კურსებში და არც დამოუკიდებლად არ ისწავლებოდა სახელმწიფოთმცოდნეობის საკითხები, ეს არსებითად აფერხებდა კონსტიტუციური სამართლის გაგების შესაძლებლობას საბაკალავრო დონეზე. ამიტომ, სასურველი იქნებოდა სახელმწიფოთმცოდნეობის შემცველი კურსის შემოტანა, მაგალითად კონსტიტუციური სამართლის შესავლის სახით.

საზღვარგარეთის კონსტიტუციური სამართალის სილაბუსის თემატიკა სასურველია უფრო ნათლად და კონკრეტულად ჩაშლილიყო იმ საკითხებად, რაც შექმნიდა შესაძლებლობას აქცენტირებული ყოფილიყო ის თავისებურებები, რასაც შეიცავდა თითოეული ქვეყნის კონსტიტუციური სისტემა და კანონმდებლობა. მაგალითად, იტალიის კონსტიტუციური სისტემა: იტალიის საარჩევნო სისტემა; პოლიტიკური პარტიები; გაძლიერებული რეგიონალიზმი; რეგიონები და დემოკრატია; ადამიანის უფლებები; ხელისუფლების ორგანოები; რაციონალიზებული პარლამენტარიზმი და ა. შ. სასურველი იქნებოდა მეტი წილი დათმობოდა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების კონსტიტუციურ სისტემებს. ასევე, კურსში ჩართული ყოფილიყო ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი. ეს საშუალებას მისცემდა სტუდენტს რეალურად განევითარებინა დასკვნის უნარი და შედარებითობის მეთოდით გამოეყენებინა მიღებული ცოდნა საქართველოს სინამდვილეში სამართლებრივი ამოცანის გადაწყვეტის დროს.

სასწავლო კურსში საერთაშორისო სისხლის სამართალი ლიტერატურა მოძველებული იყო. დარგი განვითარდა ბოლო 15 წლის განმავლობაში, 2002 წლიდან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ამოქმედებიდან, სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა კი ძველი იყო და ვერ უზრუნველყოფდა სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, ნ. თოფურიძე, ზ. ცაგარეიშვილი, საერთაშორისო სისხლის

6.108

სამართალი. თეორია და პრაქტიკა. გამომცემლობა "დიოგენე", თბილისი. 2003.; მ. გვარამია, საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია. თბილისი. გამომცემლობა "სიკ". 2002. ერთადერთი სახელმძღვანელო იყო 2009 წლის და ისიც აქტების კრებულს წარმოადგენდა.

მაგალითის სახით ექსპერტებმა მიუთითეს დარგის განვითარების მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები:

1. Cassese, A., et al (2011), Oxford University Press, International Criminal Law: Cases and Materials
2. Schabas, W. (2010) Oxford Commentaries on International Law: The International Criminal Court, A Commentary on the Rome Statute.

მე-5 თემაში ერთად ისწავლებოდა ოთხივე საერთაშორისო დანაშაული: „მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული - გენოციდი. ეკოციდი. ბიოციდი. აგრესია. ომის დანაშაული. დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ. აპარტეიდი. დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში", ხოლო საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში საქმის განხილვას ოთხი ლექცია ეთმობოდა, აქედან ორი ლექცია - ექსტრადიციის საკითხებს. ექსპერტების მოსაზრებით, საკითხთა ამგვარი ჩაშლა შეუძლებელს და ალოგიკურს ხდიდა სასწავლო კურსის მიზნების განხორციელებას და სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან საბოლოოდ სტუდენტს არ ეცოდინებოდა ამ დანაშაულთა ნიშნები და სპეციფიკა.

თემატიკაში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული რუანდის და იუგოსლავიის ტრიბუნალებისა და მათ მიერ განხილული საქმეების სწავლება, არადა ისინ მოქმედ ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ და მათ გარეშე საერთაშორისო სისხლის სამართლის სასწავლო კურსი სრული ვერ იქნებოდა.

პროგრამის არსებობის მნიშვნელოვნად გარემოებად როგორც უნივერსიტეტი, ისე დამსაქმებლები ასახელებდნენ რეგიონალურ სპეციფიკას და მის გათვალისწინებას. პროგრამის წარმოდგენილი ვარიანტი ამ სპეციფიკას არ ითვალისწინებდა. სასურველი იქნებოდა ამ თვალსაზრისით სპეციალიზაციის არჩევით საგნებს დამატებოდა შესაბამისი კურსები. მაგალითად, დამსაქმებლებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა სასოფლო სამეურნეო სექტორში სადაზღვეო პრობლემატიკა და ამ თვალსაზრისით შესაბამისი ცოდნისა და უნარის ადგილობრივ კადრის არსებობის სურვილი გამოითქვა. შესაბამისად, ექსწპერტების რეკომენდაცია იყო პროგრამას გაეთვალისწინებინა სადაზღვეო სამართლის კურსის სწავლება. ასევე, ძალზედ მნიშვნელოვნად მიაჩნდათ ექსპერტებს გარემოდაცვითი სამართლის კურსის შესწავლა. ეს უპასუხებდა, როგორც რეგიუნალურ, ისე ზოგადად იურისტის კვალიფიკაციის თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამის ეფექტურად დანხორციელებისა და შემდგომი განვითარების პროცესის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი იყო პროგრამის განხორციელებაში ჩართული სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების ჩართვა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თელავის უნივერსიტეტს ჰქონდა სამართლის პროგრამის განხორციელების პოტენციალი, ჩატარდა კონკურსი პროფესორების ასარჩევად. აღნიშნა, რომ კარგი ურთერთობა ჰქონდა დამსაქმებლებთან უნივერსიტეტს, საზოგადოების მხრიდანაც იყო მაღალი მოთხოვნა ამ სპეციალობაზე, ჰქონდათ იმიტირებული იურიდიული დარბაზი. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრობლემას ქმნიდა ის, რომ სტუდენტები რეგიონიდან მიდიოდნენ თბილისში. მან განაცხადა, რომ ექსპერტების რჩევები გათვალისწინებული იყო.

მან აღნიშნა, რომ ქართულ ლიტერატურაში მწირი იყო ქართული სამართლის ლიტერატურა, მან აღნიშნა, რომ კვალიფიკაციის თვალსაზრისით არასდროს გაჩნდებოდა კადრები თუ თვითონ არ დაიწყებდნენ კადრის გაზრდას. რეგიონში კი იყო მოთხოვნა როგორც ნოტარიუსში, სასამართლოში და სხვადასხვა ორგანიზაციაში. მან აღნიშნა, რომ იმისთვის, რომ კადრები შენარჩუნებულიყვნენ რეგიონში, საჭირო იყო ადგილზევე ჰქონოდათ განათლების მიღების საშუალება.

6.18

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა ბუნების დაცვის შესახებ, თუ იყო გათვალისწინებული რაიმე კურსი, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი საგანი არ ჰქონდათ, თუმცა მთავარი იყო, რომ პროგრამა შედეგზე გადიოდა. მან დაამატა, რომ გაითვალისწინებდნენ ექსპერტების რეკომენდაციებს, მიუხედავად იმისა რომ კადრი იყო საკმარისი პროგრამის განსახორციელებლად, ვიზიტის შემდეგ კიდევ დაამატეს 26 პროფესორი.

ნათელა სახოკიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თვითონ თუ თვლიდა, რომ უნივერსიტეტი იყო მზად, აღეზარდა ისეთი იურისტი, რომელიც საზღვარგარეთაც იმუშავებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამართლებრივი სივრცე ერთიდაიგივე იყო, შესაბამისად მისი მოსაზრებით, იმუშავებდა კურსდამთავრებული საზღვარგარეთაც. მან დაამატა, რომ თელავის მკვიდრი ბევრი იურისტი თბილისში იკავებდა მაღალ თანამდებობებს.

საბჭოს სხდომაზე 18:38 საათზე შესვენება გამოცხადდა.

სხდომა განახლდა 18:45 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6.108

6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამა
განათლების საფეხური: საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ირმა გრძელიძემ და ეკატერინე ბაკარაძემ წარადგინეს. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

სასურველია, ფსიქოლოგიის, სწავლების მეთოდიკისა და პედაგოგიკის საგნების გაერთიანების, კონცენტრაციის პარალელურად, შეთავაზებული ყოფილიყო მომიჯნავე კომპეტენციების განმავითარებელი კონცენტრაციები, რაც უზრუნველყოფდა კურსდამთავრებულთა მეტ კონკურენტიანობას ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე.

თითოეული სასწავლო კურსის დაგეგმვისას შინაარსი, სწავლების მეთოდები და მოცულობა შერჩეული იყო მისაღწევი სწავლის შედეგების მიხედვით. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში კრედიტების რაოდენობა იყო 6 ან 3, საათობრივი გადანაწილება იყო კვირაში 6 კრედიტზე 2 საკონტაქტო საათი (ლექციაზე და სემინარზე დასწრება 28, დამოუკიდებელი მეცადინეობა - 50, გამოცდების მომზადება ჩაბარება (მათ შორის, შუალედური გამოცდის ჩაბარება - 2 სთ + ფინალური გამოცდის ჩაბარება - 3 სთ) 40, ნაშრომების მომზადება-ჩაბარება - 32). მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსები უზრუნველყოფდა სწავლის შედეგზე გასვლას, სასურველი იყო სწავლების დონის გათვალისწინებით გაზრდილიყო საკონტაქტო საათების რაოდენობა და შესაბამისად შემცირებულიყო დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი დრო.

და ბოლო რეკომენდაციად ექსპერტებმა წარმოადგინეს ლიტერატურის საკითხი, კერძოდ, შეთავაზებულ კურსებში სავალდებულო ლიტერატურად ხშირად მითითებული იყო საგნის პედაგოგის მიერ შექმნილი რიდერი, რომელიც დაფუძნებული იყო დარგის უახლეს ლიტერატურაზე, თუმცა ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ სასურველი იქნებოდა რიგირ კურსების სილაბუსებში დამატებულიყო სარეკომენდაციო ლიტერატურა.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა ვის ამზადებდა პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ინგლისურ ფილოლოგს ამზადებდა, ნათელა სახოკიამ დააზუსტა, თუ გულისხმობდა ეს ინგლისური ენის მასწავლებელსაც,

ნ. სა

რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურის სწავლების მეთოდიკა გათვალისწინებული იყო პროგრამაში, მასწავლებელს ვერ მოამზადებდა პროგრამა.

ნათელა სახოკიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დასაქმების არეალის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მასკომუნიკაციის საშუალებები, ზოგადად სადაც კომუნიკაცია იქნებოდა საჭირო, რადგან ამ მიმართულებით კვალიფიციური კადრების დეფიციტი იყო.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა თუ შეეძლებოდათ კურსდამთავრებულებს ტექნიკური თარგმანი. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ კურსდამთავრებულები შეძლებდნენ ტექნიკურ თარგმანსაც.

სხდომის თავმჯდომარე, ნათელა სახოკია დაინტერესდა თუ ისწავლებოდა ქართული ენა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არჩევითი კურსის სახით ისწავლებოდა ქართული, თუმცა თუ ქართველი სტუდენტები ეყოლებოდათ, მათ არ დასჭირდებოდათ აღნიშნული საგნის გავლა.

ნათელა სახოკიამ სთხოვა დაკონკრეტება, რა კონტინგენტზე იყო პროგრამის გათვლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ინგლისურენოვანი პროგრამა იყო და შეზღუდული არ ჰქონდათ მისაღები კონტინგენტი, ვინც შეძლებდა ჩაბარებას, მიიღებდნენ.

ნანა შათაშვილი დაინტერესდა რომელ ენებს მოიცავდა პროგრამა.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ მოიცავდა გერმანულს, ფრანგულს, ესპანურსა და იტალიურს.

ნათელა სახოკია დაინტერესდა სწავლის საფასურით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სწავლის ღირებულება შეადგენდა 3000 დოლარს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ნ.ლ

7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაციის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები წარადგინეს ირინე ფხაკაძემ და ნატო ალავიძემ:

ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული იყო საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების წარმატებით ჩაბარება ინგლისურ ენასა და სპეციალობაში, თუმცა გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რომ სასწავლო კურსების სილაბუსების თანახმად შემოთავაზებული ძირითადი ლიტერატურა თანამედროვე ინგლისურენოვანია, ექსპერტების რეკომენდაცია იყო, დაზუსტებულიყო აპლიკანტის ინგლისური ენის კომპეტენციის დონე (მინიმუმ B2 დონეზე ფლობის აუცილებლობა).

პროგრამას ახლდა სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავდა სასწავლო კომპონენტების ჩამონათვალს შესაბამისი კრედიტებით, მათი სემესტრული განაწილების მიხედვით, თუმცა არ იყო საათობრივად გაწერილი საკონტაქტო აუდიტორული, საკონტაქტო საგამოცდო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა.

ასევე, უკეთესი იქნებოდა განსაზღვრული ყოფილიყო პროგრამაში აკადემიური წლის, სასწავლო და სასესიო პერიოდების ხანგრძლივობა.
ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილი იყო გასწორებულიყო ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, პროგრამაში პირველი სემესტრის სასწავლო კურსს „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის პოლიტიკა“ ალტერნატიულ თანაპირობად მითითებული იყო კურსი „მენეჯერული ეკონომიკა“, რომელიც სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში არ ისწავლებოდა.

ბოლო რეკომენდაციას წარმოადგენდა ის, რომ გასწორებულიყო რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში საკონტაქტო საათების რაოდენობის ჯამი („კლინიკური ფარმაცია, არნმაკოთერაპია“ ლექცია 28 სთ, სემინარი 14 სთ, ჯამში საკონტაქტო საათები მითითებული იყო 40 სთ, ნაცვლად 42 სთ).

6.18

სხდომის თავმჯდომარემ, ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ მსუბუქი რეკომენდაციები ჰქონდათ ექსპერტებს და კითხვით მიმართა მათ, როგორ შეაფასებდნენ ლაბორატორიული პირობებს. ექსპერტმა, ნატო ალავიძემ აღნიშნა, რომ შესანიშნავი პირობები დახვდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ნ. ლ

8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ფარმაციის მენეჯმენტი
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გოჩა თუთბერიძემ წარადგინა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ვინაიდან ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენდა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებას, დარგი იყო მენეჯმენტი, ხოლო ქვედარგი ფარმაციის მენეჯმენტი, შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა კურიკულუმის იმგვარად აგება, რომ სავალდებულო სასწავლო კურსებში მეტი დოზით ყოფილიყო წარმოდგენილი მენეჯმენტთან, მარკეტინგთან, გაყიდვებთან და ფინანსებთან დაკავშირებული სასწავლო კურსები. ხოლო ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა „საოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის პოლიტიკა", „ფარმაკოეკონომიკა და პოლიტიკა (PEP)", „ბიზნეს-სტატისტიკა", რომლებიც ძირითადად, თავიანთი შინაარსით ეკონომიკური მიმართულების საგნებია, გადასულიყო არჩევით სასწავლო კურსებში.

ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნდა, მომხდარიყო გარკვეული გადაადგილებები სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით კომპონენტებში, კერძოდ, „ფინანსური აღრიცხვის" კომპონენტი არჩევითი მოდულიდან გადმოტანილი ყოფილიყო სავალდებულო მოდულში და ასევე გაზრდილიყო სასწავლო კურსის „ფარმაციის მენეჯმენტი, ლიდერობა, მარკეტინგი და ფინანსები" კრედიტების მოცულობა, ვინაიდან ის ფაქტობრივად აერთიანებდა ოთხ დამოუკიდებელ დისციპლინას, რომელთა სწავლება 6 კრედიტის ფარგლებში, კვირაში 2 საათის მოცულობით საკმაოდ რთული ამოცანაიქნებოდა.

ასევე, უმჯობესი იქნებოდა დაკორექტირებულიყო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა, ვინაიდან სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა სააქართველოს მოქალაქეებისთვის შესაძლებელია მხოლოდ საერთო სამაგისტრო გამოცდების და არა „ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების დაძლევის შედეგად" და ასევე, მითითებულიყო სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის ინგლისური ენის ცოდნის რომელი დონე წარმოადგენდა ჩარიცხვის წინაპირობას.

ნ. ...

პროგრამით გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსის „ფარმაცევტული ხარისხის სისტემა (PQS) I ნაწილი" სწავლება, სადაც სტუდენტის დაშვება ხდებოდა მხოლოდ 60 ECTS კრედიტის დაგროვების შემთხვევაში. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, თუ პროგრამაში კონკრეტულად იქნებოდა განსაზღვრული ის სასწავლოკურსები, რომლებიც უშუალოდ წარმოადგენდნენამ პრაქტიკული სასწავლო კურსის წინაპირობას.

სასწავლო კურსის „ეპიდემიოლოგიურ და სოციალურ-სტატისტიკური კვლევის მეთოდების" სწავლების თანაპირობად, რომელიც ისწავლებოდა მესამე სემესტრში, მითითებული იყო „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის პოლიტიკა", რომელიც ისწავლებოდა პირველ სემესტრში, შესაბამისად, ეს უკანასკნელი შეიძლებოდა ყოფილიყო წინაპირობა და არა თანაპირობა.

სასწავლო კურსის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის პოლიტიკა" წინაპიობას წარმოადგენდა სასწავლო კურსი „ეკონომიკა", რომელიც საგანმანათლებლო პროგრამით არ იყო შეთავაზებელი, შესაბამისად უნდა მომხდარიყო ამ ჩანაწერის კორექტირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბოლო 4 ტექნიკური შენიშვნა უკვე გამოსწორებული იყო, ასევე შეცვლილი იყო თანაპირობა.
ნათელა სახოკიამ ითხოვა განმარტება, თუ რას ნიშნავდა თანაპირობა.

ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ ეს წარმოადგენდა ისეთ კურსებს, რომლებიც პარალელურ რეჟიმში უნდა ისწავლებოდეს. დაწესებულების ხარისხის წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა დაამატა, რომ ეს უნივერსიტეტის დებულებითაც იყო გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორი ალტერნატიული თანაპირობა დაამატეს, გაითვალისწინეს რეკომენდაცია და კურსი „მენეჯმენტი ლიდერობა მარკეტინგი ფინანსები" გაყვეს.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, რის ხარჯზე გაიყო აღნიშნული კურსი, რას მოაკლდა კრედიტები, რაზეც უპასუხეს, რომ შემცირდა არჩევითი საგნის კურსებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ რეკომენდაციას არ ითვალისწინებდნენ, რადგან ეს თვისობრივად შეცვლიდა პროგრამას. მისი თქმით, პროგრამა მოიცავდა სამ კომპონენტს, სპეციალიზირებულ საგნებს, ეკონომიკურ კომპონენტსა და პოლიტიკის კომპონენტს. პროგრამა მსგავსი იყო მასაჩუსეტის უნივერსიტეტის პროგრამისა, და თუ აღნიშნულ კურსს ამოიღებდნენ, პროგრამა დაზარალდებოდა. ასევე, დაამატეს, რომ ძალაში შევიდა ევროასოცირების ხელშეკრულება და მენეჯმენტი მოიცავდა ყველა შესაბამისი სტანდარტის სწავლებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5-10

9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური: ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 360

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ეკა ეკალაძემ და თამარ გაიხარაშვილმა წარადგინეს. მათ წარადგინეს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

პროგრამაში უცხო ენის კომპონენტი არჩევითი საგნების კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ინგლისური და ქართული ენებით, ამავე დროს, უცხოენოვანი სტუდენტებისთვის სავალდებულო უცხოური ენა იყო ქათული ენა, ხოლო ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - სავალდებულო უცხოური ენა იყო ინგლისური. ამ უკანასკნელი განმარტების გათვალისწინებით, ინგლისური ენა ხდებოდა ძირითადი და არ არჩევითი ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, ისევე როგორც უცხოენოვანი სტუდენტებისთვის - ქართული ენა. მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ დაწესებულება ნამდვილად ისე მოიაზრებდა უცხოური ენის კომპონენტს. შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაცია იყო, ეს სასწავლო კურსები არჩევითიდან გადანაცვლებულიყო ძირითადი კურსების კატეგორიაში.

სასურველია, პროგრამაში განსაზღვრული ყოფილიყო აკადემიური წლის, სემესტრების, სასწავლო და სასესიო პერიოდების ხანგრძლივობა.

პროგრამას ახლდა სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავდა სასწავლო კომპონენტებს, მათ სემესტრულ განაწილებასა და მოცულობას კრედიტებში, თუმცა არ იყო საათობრივად გაწერილი, რაზეც ექსპერტებმა მისცეს რეკომენდაცია, სასწავლო გეგმაში სასწავლო კომპონენტების საათობრივი განაწილებაც ყოფილიყო წარმოდგენილი.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სილაბუსებს, რომელთა ნაწილში არ იყო გათვალისწინებული პერსონალის სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის/კონსულრაციის საათები, თუმცა დებულების მიხედვით, აკადემიური პერსონალის თითოეულ წარმომადგენელს კვირაში მინიმუმ ორი საათი ჰქონდა განსაზღვრული საკონსულტაციოდ.

ასევე, სილაბუსებში მითითებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები მკაფიოდ გამიჯნულიყო. სასურველია, სილაბუსებში დაკონკრეტებულიყო

6.66

გამოცდის ფორმატის მოთხოვნები, როგორიცაა ტესტირების შემთხვევაში შეკითხვების რაოდენობა და თითოეული შეკითხვის ფასი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნიკა ღამბაშიძემ აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გაზიარებული იყო.

საბჭოს წევრ, ნათელა სახოკიასთვის წარმოუდგენელი იყო, როგორ ისწავლიდა უცხოელი ქართულ ენას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უცხოელები ენას სწავლობდნენ საკომუნიკაციო დონეზე.
ნათელა სახოკია დაინტერესდა მისაღები კონტინგენტით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძირითადად ელოდებოდნენ უცხოენოვან სტუდენტებს აღმოსავლეთ ევროპიდან ასევე აზიის, აფრიკის ქვეყნებიდან.

თამარ გაიხარაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ძალიან ძლიერ კლინიკებთან ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულებები, თუმცა ვერ ახერხებდა თავის კარგად წარმოჩენას ამ კუთხით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 20-ზე მეტ ორგანიზაციასთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, რომელთაგან ნაწილმა უარი განაცხადა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდომ, 19:54 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ნათელა სახოკია

მდივანი
თუთა ნარმანია